სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 04 მაისი, 2023
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (ელექტრონული ფოსტის გამოყენებით)

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ია გაბედავა, რაისა ლიპარტელიანი, ზვიად კორძაძე, თორნიკე ბაქრაძე, ტარიელ კაკაბაძე, როინ მიგრიაული.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

სალომე შენგელიას, ნატა გაბულდანის, ლანა მინდიაშვილის, ნინო ქავშბაიას, ზაზა ანანიძის, ანნა კახოშვილის, თამარ მჭედლიშვილის, გიორგი ბაღანაშვილის, ნინო სამხარაულის, დავით დარბაიძის, სუსანნა თარლამაზიანის და თამთა მაღლაკელიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ

სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სალომე შენგელიას, ნატა გაბულდანის, ლანა მინდიაშვილის, ნინო ქავშბაიას, ზაზა ანანიძის, ანნა კახოშვილის, თამარ მჭედლიშვილის, გიორგი ბაღანაშვილის, ნინო სამხარაულის, დავით დარბაიძის, სუსანნა თარლამაზიანის და თამთა მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

თამარ გულუას, გიორგი სურმანიძის და მეგი რაზმაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, (მომხრე 8: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ია გაბედავა, რაისა ლიპარტელიანი, თორნიკე ბაქრაძე, ტარიელ კაკაბაძე, როინ მიგრიაული, წინააღმდეგი 1: ზვიად კორძაძე) მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ გულუას, გიორგი სურმანიძის და მეგი რაზმაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ზაზა ანანიძის განცხადებას “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზაზა ანანიძის განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე